შპს ორიენტ ლოჯიკის კონფიდენციალურობის განაცხადი

/კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია.

წინამდებარე ვებ-გვერდი წარმოადგენს შპს ორიენტ ლოჯიკს (შემდგომში მონაცემთა დამმუშავებელი- ს/ნ: 202052054; იურ მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. გოძიაშვილის ქ., N71; ალტ მის: ქ. თბილისი, გ. დანელიას ქ. N4, ტელ: +995 (032) 2 54 18 18; ელ. ფოსტა: Info@ol.ge საკუთრებას. კომპანია თავად არეგულირებს ვებ-გვერდის გამოყენების წესებსა და პირობებს.

ვებ-გვერდის სტუმრობით, მასზე გამოქვეყნებული ინფორმაციის/მომსახურების გამოყენებით, ასევე, თქვენი პერსონალური მონაცემების დაფიქსირებით, სხვადასხვა მიზნით თქვენ ადასტურებთ, რომ სრულად ეთანხმებით ვებ-გვერდის გამოყენების წესებს და პირობებს.

პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიზანი:

წინამდებარე პოლიტიკის მიზანია:

- განგიმარტოთ სამართლებრივი საფუძვლები, მიზნები და პრინციპები, რომლითაც ვხელმძღვანელობთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას;
- გაგაცნოთ, როგორ ვაგროვებთ და რა სახის მონაცემებს ვამუშავებთ ჩვენთან შემხებლობაში მყოფი პირების შესახებ;
- გაცნობოთ, როგორ ვიცავთ თქვენ პერსონალურ მონაცემებს;
- მოგაწოდოთ ინფორმაცია თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ.
- ჩვენ ვახორციელებთ პერსონალური მონაცემების დამუშავებას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესებისა და ნორმების, ასევე წინამდებარე განაცხადში მოცემული და არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

კონფიდენციალურობის პოლიტიკის გავრცელების ფარგლები.

წინამდებარე განაცხადი ვრცელდება:

- კომპანიის ფიზიკურ პირ კლიენტებზე (მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმე პირ(ებ)ზე), რომლებიც სარგებლობენ ჩვენი მომსახურებებითა და პროდუქტებით;

- ჩვენს კომპანიაში დასაქმების მსურველ პირებზე, რომელიც არსებული ან სამომავლო ვაკანსიის ფარგლებში აგზავნიან თავიაანთ რეზიუმეს;
- კომპანიაში დასაქმებულ პირებზე;
- ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიულ პირ კლიენტთან შრომის/მომსახურების ან სხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებულ იმ ფიზიკურ პირ(ებ)ზე, რომლებიც ჩვენს კომოპანიასა და შესაბამის კლიენტ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობენ ჩვენი მომსახურებ(ებ)ით, აგრეთვე იმ სხვა ფიზიკურ პირებზე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ ჩვენი მომსახურებ(ებ)ით (შემდგომში მომსახურებ(ებ)ით მოსარგებლე ფიზიკური პირი);
- იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც არ არიან ჩვენი კლიენტები არ იმყოფებიან ჩვენთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, თუმცა მოგვმართავენ ჩვენი მომსახურების მიღების (შეძენის) და/ან ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით, ან წარმოადგენენ ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირის საკონტაქტო პირს;

თუ თქვენ სარგებლობთ/გეგმავთ ისარგებლოთ ჩვენი ერთი ან რამდენიმე მომსახურებით, იგულისხმება, რომ თქვენ გაეცანით და იზიარებთ წინამდებარე განაცხადის პირობებს.

შეგროვებული ინფორმაცია.

კომპანიის ვებ-გვერდ(ებ)ის გამოყენების პროცესში, ჩვენი მომხმარებლების შესახებ შესაძლოა შევაგროვოთ შემდეგი სახის ინფორმაცია: სახელი, გვარი, პირადი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, დაინტერესების სფერო, საქმიანობის სფერო, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ემსახურება თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის/მომსახურების მოწოდებას ან/და მომსახურების გაწევას, დასაქმებას.

კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების სახელმძღვანელო პრინციპები.

კომპანია მის მიერ მიღებულ პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს ქვემოთ მითითებული პრინციპებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

- მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად;
- მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის;
- მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;
- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი

მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

- მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება/შენახვა განსაზღვრულია კანონმდებლობით და წარმოადგენს პროპორციულ ზომას დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;
- მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან /და დაზიანებისგან;

ინფორმაციის გამოყენების მიზანი.

ჩვენი მომხმარებლების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი მიზნებისთვის:

- თქვენთან ურთიერთობისთვის;
- თქვენი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ან/და თქვენთან თანამშრომლობის დამყარების მიზნით;
- ჩვენი ბიზნეს საქმიანობის განვითარების მიზნით;
- ჩვენი მომსახურებისა და პროდუქტების შესახებ მომხმარებლების/პოტენციური მომხმარებლების მოსაზრების, რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებისა და დამუშავების მიზნით;
- მომხმარებელთა პრეტენზიებსა და საჩივრებზე რეაგირების მიზნით;
- პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნით;
- ასევე კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, მისი გაადვილების, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის, კომპანიაზე მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების, მომსახურების გაწევის მიზნებით.
- ნებისმიერი სხვა ლეგიტიმური მიზნით.

პერსონალური მონაცემების დამუშავება.

კომპანიის მიერ მომხმარებლებისგან შეგროვებული პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ვებ-გვერდის მომხმარებლის უფლებები ვებ-გვერდის მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს და უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება;ბ) იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ; გ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ; დ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო, თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე; ე) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
- გაეცნოს კომპანიაში მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით;
- მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დაბლოკვა, დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;
- გამოიხმოს თანხმობა - განმარტების გარეშე ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი მის მიერ მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება (თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი);
- გააასაჩივროს - თუ მიიჩნევს, რომ კომპანიის მიერ მონაცემთა დამუშავება არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებს, შეუძლია მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს (ქ. თბილისი, ნ. ვაჩნაძის 7 ან ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. N 48) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კომპანიამ მონაცემების დამუშავებისას შესაბამის პირთან ნაკისრი ვალდებულების სრულყოფილად შესრულების მიზნით შესაძლოა გამოიყენოს (დაიხმაროს) მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირი, რომლის შესახებაც დაინტერესებულ პირს მიეწოდება ინფორმაცია მისი მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, მონაცემების დამმუშავებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი - მხარეები მხარეთა შორის ურთიერთობისას განუხრელად იცავენ კონფიდენციალურობის მაღალ სტანდარტს.

მონაცემები მუშავდება მხოლოდ კომპანიის მიერ განსაზღვრული მიზნებისათვის, კანონით განსაზღვრული პრინციპების და დადგენილი წესების დაცვით. შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, კომპანიისთვის მომსახურების გაწევის პროცესში შესაძლოა მოხდეს კომპანიის უფლებამოსილი პირ(ებ)ისათვის მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნება ან/და მათთვის წვდომის უფლების მინიჭება (მაგალითად,ვებ-გვერდის განახლების ტექნიკური სამუშაოების შესრულების ფარგლებში). ასეთ შემთხვევაში, მონაცემების გამჟღავნება/მათზე

წვდომის უფლების მინიჭება მოხდება მხოლოდ კომპანიასა და შესაბამის უფლებამოსილ პირს შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უფლებამოსილი პირის ვალდებულება - მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ კომპანიის მიერ განსაზღვრული მიზნებით და კანონით დადგენილი პრინციპებისა და წესების დაცვით.

პერსონალური მონაცემების მიღების წყაროები და მონაცემები, რომელსაც ვამუშავებთ.

პერსონალური მონაცემების მოპოვება ხორციელდება კომპანიისათვის თქვენ მიერ მოწოდებული და ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე წყაროდან, მათ შორის:

- სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით მოგვმართავთ ჩვენ, ჩვენი მომსახურების შეძენის და/ან ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით, აგზავნით თქვენს რეზიუმეს, ახორციელებთ ვიზიტს ჩვენს ოფისში;
- სხვადასხვა ფორმით და საკონტაქტო არხებით შემოდიხართ ჩვენთან კომუნიკაციაში;
- დებთ ჩვენთან ხელშეკრულებას, სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით, მათ შორის, ახორციელებთ მომსახურების ცვლილებას ან გაუქმებას;
- მომსახურების მიღებისას იყენებთ კომპანიის საკონტაქტო არხებს - კომპანიის, ან შესაბამისი თანამშრომლის ნომერს ან გვიგზავნით წერილს მატერიალურად ფოსტით ან ელექტრონულად ელ. ფოსტით;
- მოგვმართავთ საჩივრით/პრეტენზიით;
- მოგვმართავთ თქვენი უფლებების რეალიზების ფარგლებში პერსონალური მონაცემების გაცემის, გასწორების, წაშლის, დაბლოკვის ან დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნით.

მონაცემების დამუშავების სახეები:

პერსონალური მონაცემების კატეგორიები და დამუშავების მოცულობა დამოკიდებულია თქვენთვის გაწეულ მომსახურებებზე, ჩვენთან განხორციელებული კომუნიკაციის ფორმაზე, თქვენს მოთხოვნაზე და ჩვენს საჭიროებაზე.

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული საფუძვლებით და მიზნებისთვის სხვადასხვა საჭიროებისას შესაძლოა დამუშავდეს შემდეგი მონაცემები:

- თქვენი საიდენტიფიკაციო და უფლებამოსილების დამადასტურებელი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი/საკონტაქტო ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ასაკი, დაბადების თარიღი; პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი; ასევე ვაკანსიის ფარგლებში მიღებული რეზიეუმეში მითითებული მონაცემები, რომელიც აუცილებელია კანდიდატის კონკრეტულ პოზიციაზე შესაბამისობის დადგენის მიზნით;

- მონაცემები თქვენ მიერ მიღებული მომსახურებ(ებ)ის შესახებ, მათ შორის, მონაცემები მომსახურების ცვლილების (გაუქმების, გაგრძელების) თაობაზე;
- თქვენი პერსონალური მონაცემების გასწორების, წაშლის, გაცემის, დამუშავებაზე თანხმობის ან დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაცია;
- ნებისმიერი ის სხვა მონაცემი, რომლის დამუშავებაზეც თქვენ თანხმობა განაცხადეთ და/ან რომლის დამუშავების ვალდებულებაც გვეკისრება კანონმდებლობით.

მონაცემების სხვა პირ(ებ)ისთვის გაზიარება.

მონაცემების სხვა პირ(ებ)ისთვის გაზიარება შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში (კანონით გათვალისწინებული წესით), შესაბამის უფლებამოსილ სამართალდამცავ ორგანოებთან და/ან სახელმწიფო უწყებებთან ასევე შესაბამისი სასამართლო განჩინების ან თქვენი თანხმობის საფუძველზე.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში პერსონალური მონაცემების გაზიარება მოხდება მხოლოდ იმ მინიმალური მასშტაბით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად და/ან რაც გათვალისწინებულია/სავალდებულოა კანონმდებლობით.

ვებ-გვერდის მომხმარებლის უფლებების შეზღუდვა:

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვებ-გვერდის მომხმარებლის ზემოაღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

- სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;
- ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;

- მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;
- სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
- სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.

ვებ-გვერდის მომხმარებლის უფლების შეზღუდვისათვის გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

უფლების შეზღუდვის საფუძვლების არსებობისას, კომპანიის გადაწყვეტილება ვებ-გვერდის მომხმარებელს ეცნობება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

მონაცემების უსაფრთხოების ზომები.

ჩვენს კომპანიას აქვს დანერგილი შესაფერისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, იმისათვის რომ დავიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები არასანქცირებული წვდომის, უკანონო დამუშავების ან გამჟღავნების, შემთხვევითი დაკარგვის, შეცვლის ან განადგურებისაგან.

გარდა ამისა, ჩვენ შევუზღუდეთ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა კომპანიის თანამშრომლებს, კონტრაქტორებს და სხვა მესამე პირებს, მათ ხელი მიუწვდებათ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე მხოლოდ დაკისრებული ფუნქციების და საქმიანობის ფარგლებში.

იმ შემთხვევაში თუ კომპანია განახორციელებს მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემას, მათ შორის, ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისათვის გადაცემას, კომპანია უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვრება მიმღები მხარის ვალდებულებები თქვენი პერსონალურ მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მონაცემების შენახვის ვადა:

მონაცემების შენახვა ხორციელდება არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან/ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 3 წლისა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა, ვადის გამოანგარიშებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესი) მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს კომპანიას და განახორციელოს მისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზება. ამასთანავე პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავების შემთხვევაში მონაცემების დამუშავება ხდება განუსაზღვრელი ვადით მის გამოხმობამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არსებული ვაკანსიის ფარგლებში მიღებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება გამოცხადებული ვაკანსიის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში, ხოლო

ვაკანსიით/სამუშაოს დაწყებით ზოგადად დაინტერესების შემთხვევაში საიტზე გამოგზავნილი თქვენი რეზიუმე შეინახება მისი გამოგზავნიდან 1 წლის განმავლობაში.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ჩვენი ვიზიტორების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენთვის გამჟღავნებული ინფორმაცია წარმოადგენს ინფორმაციის გამცემი პირის ერთპიროვნულ და ექსკლუზიურ საკუთრებას.

კომპანია უზრუნველყოფს თქვენს მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაციის მაქსიმალურ დაცულობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, კომპანია იხსნის პასუხისმგებლობას თქვენს მიერ კომპანიისთვის ინფორმაციის მოწოდების დროს, მესამე პირების მხრიდან თქვენი მონაცემებთან არასანქცირებულ წვდომაზე.

კომპანიის მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება თქვენი წინასწარი თანხმობით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

სხვა სახელმწიფოსთვის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემების გადაცემა- მონაცემების საერთაშორისო გადაცემა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მისი სრული დაცვით.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, კომპანიის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით თქვენ შესახებ მონაცემები შეიძლება გადაიცეს და შეინახოს საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის ისეთ ქვეყანაში რეგისტრირებულ ორგანიზაციებში, რომელიც არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის/მისი უფლებამონაცვლის შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყანას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არმქონე ქვეყნებში მონაცემების გაზიარების საფრთხეები შესაძლოა უკავშირდებოდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ადგილობრივი საზედამხედველო ორგანოს და ინდივიდუალურ მონაცემთა დაცვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების არარსებობით (ან მხოლოდ შეზღუდული არსებობით). ზოგიერთ ასეთ ქვეყანაში კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის კანონები და წესები მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით, შესაძლოა განსხვავდებოდეს საქართველოს კანონმდებლობისგან; ამასთან, ასეთ შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვრება ინფორმაციის მიმღები მხარის ვალდებულებები თქვენი პერსონალურ მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.

პირდაპირი მარკეტინგის განხორციელება ჩვენი მხრიდან.

ჩვენი მიზანი და სურვილია, რომ ვუზრუნველვყოთ თქვენთვის არჩევანის საშუალება თქვენი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით.

პირდაპირი მარკეტინგი გულისხმობს ჩვენს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით თქვენთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოწოდებას ჩვენი მომსახურების, აქციების და სხვ. პირდაპირ და უშუალო შეთავაზებას, ასევე კომპანიის პროექტების, პროდუქტებისა თუ მომსახურებისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციისა ან/და მხარდაჭერისკენ მიმართული ინფორმაციის მოწოდებას ტელეფონის (მოკლე ტექსტური შეტყობინება, სატელეფონო ზარი, ხმოვანი შეტყობინება და სხვ), ფოსტის, ელექტრონული ფოსტის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ელექტრონული საშუალებ(ებ)ით,

პირდაპირ მარკეტინგზე თქვენი თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება დამუშავდეს თქვენ შესახებ კომპანიაში დაცული ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება თქვენზე მორგებული პროდუქტების შეთავაზებაში და ეფექტურ კომუნიკაციაში. ძირითადად, ეს შეიძლება იყოს თქვენი საკონტაქტო მონაცემები (მაგ. მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი).

თქვენთან ურთიერთობის შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, პირდაპირი მარკეტინგის ფარგლებში შესაძლოა დამუშავდეს კომპანიაში თქვენ შესახებ დაცული სხვა კატეგორიის მონაცემებიც, იმ მოცულობით და ფარგლებში, რაც აუცილებელია პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის, წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად კომპანია უფლებამოსილია დაამუშავოს თქვენი მონაცემები და განახორციელოს პირდაპირი მარკეტინგი დამოუკიდებლად ან/და ისარგებლოს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი - კონტრაქტორი კომპანი(ებ)ის (მაგ. მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი და სხვა სერვის პროვაიდერები) მომსახურებით, რომელზეც გავრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის შესაბამისი ვალდებულებები.

თანხმობა პირდაპირ მარკეტინგზე არის ნებაყოფლობითი და არ არის აუცილებელი კომპანიის მომსახურებით სარგებლობისთვის. ამასთან, თქვენი თანხმობის გარეშე, კომპანია მოკლებული იქნება შესაძლებლობას განახორციელოს პირდაპირი მარკეტინგი და მოგაწოდოთ სხვადასხვა სახის ინფორმაცია, ასევე თქვენზე მორგებული უშუალო და პირდაპირი შეთავაზებები ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თქვენი მხრიდან უარის თქმა პირდაპირ მარკეტინგზე

თანხმობა პირდაპირ მარკეტინგზე მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, თქვენ მიერ აღნიშნული თანხმობის გაუქმებამდე. თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გაითხოვოთ თანხმობა და მოითხოვოთ პირდაპირი მარკეტინგული ხასიათის შეტყობინებების თქვენთვის ელექტრონული ფოსტით, მობილურ ტელეფონის ნომერზე ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით მოწოდების შეწყვეტა. ამისათვის, შეგიძლიათ ისარგებლოთ შესაბამისი ელექტრონული საშუალებით ხელმისაწვდომი უარის თქმის მექანიზმით (მაგ. მოკლე

ტექსტურ შეტყობინებაში მითითებული ციფრების ან ტექსტის გაგზავნა ამავე შეტყობინებაში დაფიქსირებულ მოკლე ნომერზე (ე.წ. NOSMS), ელექტრონული ფოსტის შეტყობინებების გამოწერის გაუქმება ე.წ. unsubscribe და ა.შ.) ან დაუკავშირდეთ კომპანიას მის საკონტაქტო არხებზე და დააფიქსიროთ შესაბამისი მოთხოვნა.

გაცნობებთ, რომ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო და საინფორმაციო ხასიათის კომუნიკაციები, ხოლო თუ ჩვენს და თქვენს შორის არსებობს (იარსებებს) ხელშეკრულება მომსახურების გაწევის თაობაზე საქმიანი ურთიერთობიდან და საჭიროების გათვალისწინებით მოხდება თქვენთან დაკავშირება.

სამუშაოს მაძიებლების მონაცემების დამუშავება

ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, რომელიც კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახდება კომპანიაში გამოცხადებულ ამა თუ იმ პოზიციაზე თქვენი განაცხადების განხილვისას, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება თქვენს რეზიუმესა ან/და მის თანდართულ დოკუმენტებში მოცემული მონაცემებით (შემდგომში „აპლიკანტის პერსონალური მონაცემები“), შეგროვდება და დამუშავდება თქვენი განაცხადის განხილვის, ასევე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში თქვენი დაშვების მიზნით, წინამდებარე პოლიტიკისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აპლიკანტის პერსონალური მონაცემები უშუალოდ იმ პოზიციაზე განხილვის გარდა, რომელზეც გამოაგზავნეთ განაცხადი, კომპანიამ შესაძლოა დაამუშავოს და გამოიყენოს სხვა პოზიციაზე თქვენი კანდიდატურის შესაბამისობის დადგენის მიზნით. თუ თქვენ წინააღმდეგი ხართ, თქვენი კანდიდატურა განხილულ იქნას სხვა პოზიციაზე და გსურთ ბანკმა შეწყვიტოს მონაცემების დამუშავება, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკასა ან/და კომპანიის ვებ-გვერდზე ol.ge-ზე მითითებულ საკონტაქტო არხებზე.

კომპანია ამუშავებს ასევე დასაქმების მსურველი პირების თავიაანთი ინიციატივით ჩვენთვის მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს, რომელსაც გამოიყენებს ასევე მომავალში არსებული ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში დასაქმების მიზნით.

ინტელექტუალური საკუთრება

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის ლოგოები, სავაჭრო ნიშან(ებ)ი და ყველა სხვა მასალა წარმოადგენს კომპანიის ინტელექტუალურ საკუთრებას. დაუშვებელია წინამდებარე ვებ-გვერდის შინაარსის, ლოგოების, სავაჭრო ნიშნების და სვა მასალის მთლიანად ან ნაწილობრივ კოპირება, გამოყენება, გადაცემა ან შენახვა.

კომპანიის პასუხისმგებლობა

კომპანია პასუხისმგებელია მისი უშუალო ბრალით დამდგარ პირდაპირ და დადასტურებულ ზიანზე. კომპანიის პასუხისმგებლობა ნებისმიერი არაპირდაპირი ზიანისთვის და მიუღებელი შემოსავლისთვის პირდაპირ გამოირიცხება.

კომპანია არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე / ზარალზე, რაც არ არის გამოწვეული კომპანიის უშუალო ბრალეული ქმედებით. მათ შორის, კომპანია არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე და ზარალზე, რაც გამოწვეულია კომპიუტერული ვირუსების ზემოქმედებით, კიბერშეტევებით, ასევე ყველა შემთხვევაზე, სადაც გამოირიცხება კომპანიის ბრალეულობა და ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობები.

გაითვალისწინეთ, რომ კომპანია არ იძლევა გარანტიას ვებ-გვერდის უწყვეტ და უსაფრთხო მუშაობასთან და წვდომასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ მსგავსი რისკები, გთხოვთ, მიიღოთ პრევენციისა და თავდაცვის ინდივიდუალური ზომები.

საკონტაქტო ინფორმაცია

წინამდებარე წესებთან და პირობებთან დაკავშირებით ნებისმიერი შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ კომპანიის საკონტაქტო არხების მეშვეობით.

შპს ორიენტ ლოჯიკს ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს მისი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების მიზნით, კერძოდ მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მის მეილზე წერილობით, ოფიცერი შემსრულებლის მოთხოვნაზე, მიმართვიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში გასცემს პასუხს, ოფიცრის მონაცემები: - გიორგი შერმადინი, საკონტაქტო მეილი legal@safco.ge.

თქვენ მიერ პერსონალური მონაცემების მოუწოდებლობის შედეგები.

როდესაც თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვება აუცილებელია კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის ან ჩვენ შორის არსებული ხელშეკრულების ურთიერთობიდან ან პირობებიდან გამომდინარე ან ხელშეკრულების დასადებად, ხოლო თქვენ, ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, არ მოგვაწვდით აღნიშნულ ინფორმაციას (მონაცემებს), ჩვენ შეიძლება მოკლებულნი ვიყოთ შესაძლებლობას შევასრულოთ ჩვენ შორის უკვე არსებული ან ის ხელშეკრულება, რომლის დადებისათვის ვემზადებით.

პოლიტიკის განახლება და დამატებითი ინფორმაცია საფასურის შესახებ:

პოლიტიკის ეს დოკუმენტი ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას.

თქვენ არ მოგიწევთ რაიმე საფასურის გადახდა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წდომის ან სხვა სამართლებრივი უფლების გამოყენებისათვის, გარდა კანონდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა (მაგალითად, თუ საფასური გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან/და

დაწესებულია კომპანიის მიერ მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო).

თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნების არაგონივრული სიხშირით წარდგენის შემთხვევაში კომპანია ასევე უფლებამოსილია უარი განაცხადოს მის შესრულებაზე.